

ლიტერატურული განები

№23 (231) 14 - 27 დეკემბერი 2018

გამოცემის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით


ფასი 80 თეთრი

ტარიელ ხარხელაური

ვინ ჩაიდინა, ვინა ჰქნა,
ფეხით ვინ გადაგიარა,
ნუ მიხსნი, შენი ტკივილი
ვერ გამოდგება იარად.
მკურნალად ჩემი წყლულისა
შენამდის ქარმა იარა...
ამოიოხრა მსუბუქად,
თვალები მოიწყლინა,
კლდის გულისპირზე დაცალა
სიცოცხლის სავსე ფიალა...

შენისთანების სიკვდილი
არა ვთქვა, დასაგმობია,
ამოჩნდნენ თეთრი ნისლები,
შენს სატირალში მოდიან,
დაგიტირებენ, ჩემს ცრემლებს
მაგათი ცრემლი სჯობია.
ცრემლს არც მე ვზოგავ, პირიმზევ,
ცრემლი რა დასაზოგია,
ასე ლამაზად სიკვდილი
ბევრის სიცოცხლეს სჯობია.

IV-V



მანანა ჩიტიშვილი

ტკივილთა თმანით

თერთი არ მომაცადა

ვწევარ აპრილის მინდორთან,
მზემ თოვლის რიდე აიღო,
მე ასჯერ კოცნა მინდოდა,
ის ერთი კოცნა რა იყო.
მინა, ცუარ-ნამითნალტობი,
წვიმებმა მოითარეშეს,
მე შენით თრობას ვნატრობდი
გამოფხიზლების გარეშე.
კლდეს ჩასდევს სურო ხვიარა,
თვალებში ჩადგა ზეცა და
მე შენთვის ერთგზის კი არა,
ასჯერ სიკვდილი მენადა,
გიცდიდი, მომიხვიდოდი,
ნეტავი არ მომეცადა.


ვისია მზერა
ესოდენ მფრული,
ვინ იმკის
ჩემგან ნაფერებ ყანას,
გამოლმით მე ვარ
გამსკდარი გულით,
გალმით
დაცლილი სოფლები ჩანან.

ზამთრისპირი

რამდენი ცივი წვიმები ვთვალე,
გაიშვიათდა სითბო და დარი
და ქალწულივით წერწეტა ალვებს
ანცი ბიჭივით აშიშვლებს ქარი.

დრო კი მინდვრების ხალიჩას კეცავს,
იმსხვრევა ნამი — წერიალა ბროლი...
მოვა ზამთარი და ფერმკრთალ ზეცას
თეთრი სისხლივით წასკდება თოვლი.

VIII-IX





ნუხელის გრიგალს ჩემს ბანზე
ღრუბლები გადაეტარა,
ჩამოელენა მუხები,
ეგ მუხებილა მებარა,
ეს რა ძილქუში დამეცა,
რამ დამაძინა, ნეტა რამ?!

დამიშრა სისხლი...
ძარღვებში სისველე გამომელია,
ვიძინებ, ღრუბლებს ვიფარებ,
სარეცელს მითბობს გველია.
კლდებზე შსხდარი ყორწები,
ვიცა, ჩემს სიკვდილს ელიან,
ის არ იციან წყეულთა,
ნერვიც არ შემრჩა მთელია.
ზოგჯერ გავზმუვლებ მამულსა,
ისიც ჩემსავით ბნელია,
ცოცხალი ჩემფერ მკვდარები
ვერც თავს, ვერც მამულს შველიან,
შინ მიდევს ფიქრის ლოგიზი,
სარეცელს მითბობს გველია.

ისევ შენ, ჩემო დედილო,
ისევ შენ უნდა მიშველო,
ზოგჯერ სული ვარ, სული ვარ,
ხან სუსტი სუნთქვა ცირცელის,
ხან სულიც მტოვებს, გონებაც,
ძვლებილა ვრჩები შიშველი.
გვერდი, ო, გვედრი, დედაო,
ამ ნამებისგან მისენი.
ნუხელაც მტანჯე ხილვებმა,
არ მიაკარეს თვალს ძილი,
ვიდექ საკუთარ სხეულთან
და ვლებულობდი სამძირებს,
ჩემსა და სიცოცხლეს შორის
ინელებოდა მძიმილი.
გვერდით შენ მედექ, დედილო,
შენი მფარავდა ნაგრილი,
ვიყავ შენს მეტებზე მტირალი
მისვენებული ბალლივით,
რომ დილით, დილით სამზეოს
ისევ შევყმუვლო ძალლივით...
ისევ შენ, ჩემო დედილო,
ისევ შენ უხდა მიშველო,
მე ახლა აღარც სული ვარ
და, აღარც ძვლები შიშველი.

ვიხილე, ვითომ ვმლეროდი,
აღარავერი მტკიოდა,
მერდზე მეყარა ვარსკვლავი,
შიგ მთვარე მიმოდიოდა.
სულში ჩამიდგა ნათელი,
გულში დვთის მადლა დიოდა,
მთელს სამაროზე მზის შუქი
ჩემიდან გადმოდიოდა.
თვალთაგან ცრემლის მაგიერ
ვარდ-ყვავილები მცვიოდა,
არეის სტანჯავდა ტკივილი,
წყლულზე აღარვინ ჩიოდა.
ირგვლივ ყველაფერს ვათბობდი,
არავის აღარ სციოდა,
მხარზე მთის მაჯდა არწივი,
გალალებული ჰყიოდა.
მღლოდა უფლის ლაშქარი
სულეთის საიქიოდან,
მეც მათან ერთად ვმდეროდი
და არაფერი მტკიოდა,
ნამლერი დედამინაზე
ღვთის მადლად ჩამოდიოდა.

ჰო, მე ვთამაშობ, გმადლობთ, რომ მიხვდით,
მოვემართები თქვენები სცენიდან,
ვჩერდები ზურგით და ბოდიშს გიხდით,
თითო წვეთს გასმევთ ჩემი ცრემლიდან.
მე ვთამაშობ თქვენთვის მეცე ლირს,
არა ტრაგიულს, მასხარის ჟანრში,
ხშირად ტყუუდებით, რადგან მეფენი
ტირიან, რადგან სტირდებათ ტაში.
მე ვიყავ ლირი, ლირი მასხარა,
თქვენგან, დროისგან უარყოფილი —
და ახლა გიკვირთ, თქვენ არ მასწავლეთ,
ტაშის დროს ვიდგე ღოდნავ პროფილით?
და ვარ ამაყი ამგვარ მიგნებით,
მე მითხრეს თქვენზე, არ ისმენენო,
თქვენც ხედავთ, ვდგავარ არა ნიღბებით,
ჩემზე ყალბინ და ფარსეველნო.
და ელოდებით ალბათ აღსასრულს
თქვენგან ჯვარცმული, გაძარცულ მეფის,
ხომ შევასრულე ჩემი განზრახვა,
თქვენგან ტაშს ვითხოვ, კუდს გიქნევთ ყეფით.



ტარიელ
ხარხელაური
ეხლა ქარები წავლენ და
მთელ სამყაროზე მოპფენენ,
ერთურთის გვიყვარს წამება
ერთურთის უარმყოფელებს.
უჩვენოდ რას ემგვანება,
თუ ფიქრობ, წუთისოფელი,
ნუ გახდი ასე თავნება,
უამის შენი მოფრენის.
ცათა კარები იღება,
გამოცდი ღრუბელთ დარბაზებს,
გული ლიდინთ ილლება,
როგორ ძალიან მაბრაზებ.
შენ გენატრები, არ გაითხავ,
ვიცოდე, რა საჭიროა,
მე კი იმდენად მაკლიხარ,
კითხვაც კი სასაცილოა.
ახლა ქარები წავლენ და
მთელ სამყაროზე მოპფენენ,
ერთურთის გვიყვარს წამება
ერთურთის უარმყოფელებს.

და ეს დღეები შენგან გარიყულ,
მტკრიან ბილიკებს ასამარებენ,
ცრემლების ნაცვლად, ჩემი არ იყოს,
მსუბუქი ნისლი განეცს თვალებზე.
ათვალიერებ ჩავლილ ვაგონებს,
გეალერსება დილის გრილი მზე,
მატარებელი წარსულს გაგონებს
და შენს თავს იჭერ ცბიერ ღიმილზე.
დროებით, მაგრამ მაინც ღინდები,
ფიქრში გაბნეულ დღეებს მომინყვდევ,
თითქოს ვიღაცას ემშვიდობები,
ჩამომჭვანარ ხელით თვალებს მოინმენდ.
ჩაივლის დრო და, დროშიც ვშორდებით,
მატარებელი ჩექარობს ჯინაზე,
იხრები, შემდევ წელში სწორდები,
თითქოს ნასროლ ვარდს მკერდზე იმაგრებ.
ასე ყოველდღე და გლოის ლოდინი,
გაუმჭვირვალე სივრცის ყურება,
მოგონებანი დღისით მოგრილი
ღამით წიგნივით დაიხურება.
ხვალე კა, ხვალე — ეს ლერთმა უწყის,
შენი ცრემლით და წვიმით სველდება,
თავს ნუ ვიტყუებთ, კენტი და ლუწი,
ძვირფასო, დროზე არა ვრცელდება.

ხმა ამოიღე, მინდიავ,
გული მისედება ჯავრითა,
მე თავი გადამიდვია
სულით, ხორცით და ძვალითა.
არ აიშალა სულეთი,
ჯერ არ დაიძრა ჯარითა,
არ მიდის უფლის მხედრობა
ქრისტეს ნათელი ჯვარითა.
მიგია ეკლის ლოგინი,
ნინ სისხლი მიღდას ჯამითა,
ყველა მტრად მექცა, ვისაც კი
დავხვდი გახსნილი კარითა.
ვეღარც რას გონებით ვრადი,
ვერც გატებილი ჯანითა,
მომრავლდა ქვეყნის ამკლები,
ვეღარას ვახდენ ძალითა.
რით ვერ განუურნა ლუსუმი
გველმა, მურნალია შხამითა,
დღე ეს ფიქრები მტანჯავენ,
ავი სიზმრები ღამითა.
თვალს ნუ მარიდებ, მინდიავ,
ნუ ხარ დახრილ თავითა,
უარი გითხრა სულეთმა,
უკან მიბრუნდა ჯარითა!
მხდალი ვარ, თავს ვერ მოვიკლავ,
შენ თუ არ დამკალ დანითა,
შავი მეზვევა ღრუბელი,
დაბურული ვარ ღამითა...
როგორ მოვიდე სულეთში
ან ვის ვეჩენო თვალითა.

ეს ჩამომდნარი მე ვარ სანთელი,
წვავს ყოველგვარს კი დასასრული აქვს,
შენს საფლავიან რომ ღამეს ათენებს
მთვარის წათელში, ჩემი სულია.
ცრემლის გარეშე მუდამ წაკლი აქვს
ჩემს შეშლასა და სასონარკვეთას,
ჩემში ვინახავ მაგ გულს წატყვიარს
და სხეულს, შვილო, ტყვიით დაფლეთილს.
ღირსი ვარ, ღირსი, უნდა ვენამო
და ამ სისხლიან ცრემლებსაც ვლვრიდე,
მე მკლელის მოკვლა უნდა მესწავლა
და არა ჯავრით მაჯებსა ვლრღნიდე.
აპა, შენელდა უამი სუნთქვათა,
ხავსად ედება შეშლილ ეპოქას,
შენდობს აღთქმა დავდე უფალთან,
სულს ტანჯვად, შვილო, ესეც ეყოფა.

ამაზე მეტად როგორ განვირცო,
აღარც მზეა და აღარც ღრუბლები,
იყუჩე, გულო, ახლა სიცოცხლევ
მარადისობას ვესუბრები.
და თუ აქამდის სანთლებს ვუნთებდი
ლანდებს, აქ ლანდოა კვდება იდეა,
დიდია განცდა თავისუფლების,
თავისუფლების განცდა დიდია.
რა უარყო და რაღას ვიცავდე,
აქ არც იმარჯვებ და არც მარცხდები,
შორია, შორი დედამინამდე
და მზის გულს მკერდით დავენარცხები.

რით ილექტიოთ, ყორნებო,
ვისი რა ტვინით სძლებითა,
ვინ მიგაჩვიათ, წყეულნო,
ასე გამოხვრას ძვლებისა.
დაითენთებით სისხლითა,
მერე ვეღარა სდგებითა,
არ ერიდებით ნისლების
მჩქვევას სისხლიან ფრთებითა.
ზენს არც ამ რჩევით შეიცვლით,
მაინც არ გასთეთრდებითა,
იქნებ ეს კიდევაც სჯობდეს,
წუნს ბევრსა ვხედავ სხვებისას,
რაღა თქვენ გადაგეყარეთ
მაინც ამ გათენებისას.

გონებას მიმღვრევს ამდენი იჭვი,
იჭვი შიშის და ტანჯვის უფლებით,
სიბრელე მიჭირს, სინათლე მიჭირს,
ქარის გარეშე — განსაკუთრებით.
იჭვი შენ მიმართ, იჭვი შენ გამო,
იჭვი საუთარ თავის მხილების,
და მნება ისე გარდაგეცვალო,
შეგძრა სიკვდილზე მთაბეჭდობებით.
არის ქაოსი, ქაოსში ვზივარ,
ეს საუბარი აღარ გამომდის,
აქ გასაოცრად ყვითელი მზეა,
ის, რაც ღრუბლების ჭრილში ჩამოდის.
ყველაფრის მიმართ იჭვი მიჩნდება,
საუთარ თავსაც აღარ ვენდობი,
იჭვი ტრაგიზმით, შეშლა ფიქრებით
მოახლოებულ აღავერდობის.
დროა მუდმივად ის, რაც არ მყოფნის,
დრო...

დრო...
მუდმივად დროში ვინვები...
ჩვენს შორის სივრცე არის გამყოფი,
სივრცე წყეული ფეშმარიტებისა...
სიბრელე მიჭირს, სინათლე მიჭირს,
მაგრამ უქაროდ — განსაკუთრებით.

დროშიც, სივრცეშიც ვპოვებ და, ვკარგავ,
მე რომ გემაურობ, ტევენ მაშინ სდუმხართ,
თუ არა გტევავა, არც გული ვარგა,
თქვენ არ გიყვარვართ? მე არა მძულხართ.
ასეც რომ იყოს, განა ცვლის რამეს,
ეს გზა ჩვენი ურთიერთობის,
ავი საქმისთვის ვიყენებთ ღამეს
და მზის სინათლით მხოლოდ ვერთობით.
ეს ყოველივე ხომ კვდება ბოლოს
(თუმცა ზოგი რამ მეუცხოება),
ჩვენ ერთმანეთში არასდროს ვცხოვრობთ,
ჩვენ ერთმანეთით ვიჭირს ცხოვრება.
ზოგჯერ უაზრო საყვედურს ვისმენ,
ბოლომდის ბავშვი დავრჩი ბუნებით,
თქვენ არ გჭირდებით, ვჭირდები ნისლებს,
ღამით ვარსკვლავებს ვეჩურჩულები.
მაინც ვერ ვეხდებით აზრსა და მიზანს,
დროშიც, სივრცეშიც ვპოვებ და, ვკარგავ,
ის, რაც თქვენ გინდათ, იმას ვერ ვიზამ,
ის, რაც მე მინდა, არ გესმით კარგად.

საუგარი სულეთში

ვხედავ — როგორც პოეტი

აქ ნაკლებად გჭირდებით,
ვცხოვრობ უარყოფილი ჩემით და ჩემ მიერვე,
სულ ფეხებზე მკიდია, ალბათ გაგიკირდებათ,
რომ თქვენ შორის დავიდივარ ზიზნარევი იერით.
ამაზე რომ ვსაუბრობ, ნუ ვგონიათ ადვილი,
ჩემთვის ნაცნობ პროფილებს თვალს ვარიდებ
ლირიკით,

დაკარგული ღიმილით, დაკარგული ნაგრილით,
ყვითელ მტკერში ვმოძრაობ

ჭორფლიანი ბილიკით.

არც ძალიან მაღელვებს, ისიც მიკვირს, რომ

გიკვირთ,

ახსნა-განმარტებანი ახლა ჩემთვის როულია,
ამ თანამიმდევრობით, ამნაირი როგორით

დღეს რომ გესაუბრებით, თითქოს უცნაურია.

დღეს ეს უცნაურობა ჩემს ხასიათს ამყარებს,

ჩემში ფრთხილად შემოდის მთვარის

შემოჩერდილება,

რაც არ უნდა გიკვირდეთ,

ზურგით მიდგას სამყარო,

როგორ ჰავირობთ, —

ამ სახით შევძლებ თქვენს მორჩილებას?

მანძილი კ ჩემი შორის, სამუხაროდ, იზრდება,

რომ გითხრათ ამის გამო

გავწითლდი და მრცცვენია...

ვარსკვლავები იწყებენ ჩემში შემოხიზნებას,

კარგად მესმის, ეს თქვენთვის ძნელი მოსამენია.

რეალური სივრციდან შორსა ვარ და, ვერთობი,

რა ვენა, მეხალისება, ვისაუბრო სიზმრებით,

მზეა დაკავებული ჩემი ტვინის შეთბობით,

დროში კი, ბატონებო, უსასრულოდ ვიზრდები...

* * *

არ გედავებით, უამი გასრულდა,

უამი ბრძოლით და, უამი ხმაურით,

მე განვახალე ომი ნარსულთან

მეტად სასტიკი და უცნაური.

ყოფნის მნუხარე დასასრულია,

დღეს არც სისხლის სმას არ ვერიდები,

სისხლი ვარ, სისხლი, სისხლი მწყურია,

როგორც მე სისხლი, სისხლს მე ვჭრდები.

არ გედავებით, რადგან მელის მადა

შემოდის ჩემში ნიბის გარემე,

იყო დრო, როცა სამყაროს ვგავდი

და მზის ნათელი მედგა თვალებში...

ახლა კი, ახლა, — როგორც ვამპირი,

გავზდ სისხლან ძარღვთა მლოკავი,

დღეს კაცად ყოფნისა აღაპირებ,

ფია! თქვენ ჩემში კაც მოპარითა...

რა სირცხვილია, ითხოვთ შენდობას

და მე მიგზავნით წყევლას საყდრებით,

ვწუხვარ, რომ გიკვირთ, აღარ გენდობით,

მე საკუთარი ტვინით ვნაურდები.

* * *

უკვე გვიანია, ან ძალიან გვიან,

შენზე მონატრებას ერთ სტრიქონში დავტევ,

რადგან სიყარული აღარ შემიძლია,

თავს ლადად ვგრძნობ, როგორც

ჯოჯოხეთში დანტე.

უამრავი ფიქრით სივრცე განისალულა,

ამრევია გზები და გაგნება მიწირს,

დღეს ვარ ამაზრზენად აპოკალიფური,

გაებნეულვარ დროში, სნეული ვარ იჭვით.

ეპოქათა რღვევას ვერ დავხვდები მშვიდი,

სიმურვალე დღეთა არცთუ სასურველი,

მარადისობაში გარღვევა დიდი,

მე კი შენზე ფიქრი როგორ მასულელება...

ახლა მაციებს და, წყლის ნაპირთან ვზივარ,

და თრთის ყველა ნერვი შენით მოშხამული,

ყვითელია ფიქრი, და ყვითელი მზეა —

რაღაც მეტისმეტად არა კოშმარული.

მე განვიცდა, მგონი, უშენობით შეშლას,

ძალზე ანარქიულ ემოციის ტყვევ ვარ,

სასურველო, მეტირს დღეს შემთვლა შენში,

შენით სიყვარულის მინდა შემოტევა.

* * *

ვცრუობ, უფალო, როდესაც ვამბობ,

დავდებ კალამს და,

არ დავწერ ლექსებს,

დღეს პოეზიამ პატივი დამდო

და ისევ მანდო მუზების მწყემსვა.

ყველა პირობას, შენთვის მოცემულს,

მაგინცდება და, უფალო, ვარღვევ,

შენს დიდ ტაძარში

როგორც მლოცველი

ვდგავარ და, სისხლი ახმება ძარღვებს,

ვტირი, უფალო, ცოდვებით სავსებ

რომ დავარღვიე ყველა პირობა,

ვტირი, უფალო, და ვიცი —

ასე?!

თვითონ ადამიც არა ტიროდა...

* * *

ბნელია ღამე, ფერები მწირი
და დამთრგუნველი მოთქმა ქარისა,
პატარა ქალო,

ახლა რომ ვტირი,

შენი ბრალია და, ამ ღამისა...

პატარა ქალო, მღლიან ფიქრები,

ღამებს ხმირად თეთრად ვათენებ,

მოვლენ დღები, არც იყითხავენ.

და ამ ფიქრებსაც ჩამომართმევენ.

პატარა ქალო,

როგორ დაბრელდა,

სად განცდა ფიქრი ყოვლის მომცველი

და მტანჯავს, რადგან სისხლი დავჭელდა,

როგორც მლოცველის ხელში ლოცვანი.

ბნელია ღამე, ფიქრები მწირი,

შორს დამთრგუნველი კვნესა ქარისა,

პატარა ქალო,

ახლა თუ ვტირი,

შენი ბრალია და ამ ღამისა...

* * *

ვერ ჰპოვებთ ჩემში, რაც თქვენ გაკლიათ,
სიცარიელის ითხოვთ შევსებას,
ზეციდან ვგზავნი თქვენთან მაყრიონს —
გონებამწირი კაცი — ლექსებად.

მოვიდე თავად, დავდგე ან სულაც

თქვენგან გულის და გზის მოცილებით,

ვისნავლე მართვა, მთლად თუ არც სრულად

თქვენი მარტივი ემოციების.

რატომ არ მაცდით, გითხრათ ბოლომდის,

ნუ მაფრთხობთ თქვენი ტაშის ხმაურით,

იქნება ვცდები, და არც მოგენდეთ

ზედმეტად რთული და უცნაური.

და ვისნი ნილებს, ფიქრებს გაშიშვლება,

ვწუხვარ, თუ ვინმეტ თქვენში მაცხოვრება,

დღეს ჩემი ნიდობა არის საშიში,

ისე, ვით ნიდობა თქვენით მაცხოვრის.

* * *

თოვლია, მაგრამ სიცივის განცდა
მხოლოდ ამ ჩამლილ კლდების შემორჩათ,
მზე მომიცურა ბეჭებით კაცმა,
კაცი, რომელიც ამ მზით შემოჩნდა.

კაცს წარდებს ზემოთ ეკიდა ჭირხლი

და მთელ სხეულზე ნისლი ემოსა,

გამშრალ ძარღვებში გამიშრო სისხლი —

მზისა და კაცის ერთად შემოსვლამ.



საპადური

მაია გელიაშვილს
ბაბუა ალუდაურს
ადამ ბექაურს

ჭირხლს დაექარგა ხეები და
ცა იყო მერთალი,
ნისლის პირბადით
მზე წიფლების წვერზე ეკიდა,
ასე გვეგონა,
ერთი წამით დაგხუჭეთ თვალი
და ანგელოზთა საუფლოში
გამოგველვიძა.

შეყინულ ტოტზე
რა საოცრად გალობდა ჩიტი,
ვუსმენდით, ღანტზე დაგვდიოდა
უზუმრად თქორი,
რა ახლო იყო
მისასვლელი ზეცამდე ხიდი
და ნუთისოფლის სიავენი —
რარიგად შორი.

და იდგა ჟამი,
როცა გიჯობს, რომ დარჩე მუნჯი,
მე თვით არ მჯერა,
ეს ზღაპარი ვით დაგაჯერო...
და მოხსატა საბადური
ჯალოსნურ ფუნჯით
იდუმალ დავიჩის,
თუ ღვთაებრივ მიქელანჯელოს.

თართა ზურაპ ხაგაძის
ნახატი „ავთანდილი“

მე თვით არ ვიცი,
ახლა ჩემს თავს რით ვცე ნუგეში,
ან წარსულის მზემ
თავის შექი რისთვის მომფინა,
რად დაგიძახე
შუალამის ბენელ სიჩრუმეში,
მავედრებელა სიყვარულის
როდის ვყოფილვარ.

ნუ მიპასუხებ,
შესაბრალი არც რა არა მჭირს,
არ დაიჯვრო, შენ გიხმობდე
თუნდა ეული,
თუმც დაცლილია
სურვილების ყველა კაპარჭი,
ყველა ისარი
ზე გულზეა გადამტგრეული.

იცის განგებამ,
მე აქ სულ სხვა ვინმეს მოველი,
შემომხევია მარყუშივით
ყელზე მანდილი
და ვუცდი, ვიდრე
არაფრის და ყოვლის მდომელი
არაპეთიდან მომაშურებს
თვით ავთანდილი.

ტალღები ქვიშის —
მოლივლივე და დაუთვლელი,
ცის კაბადონზე ვარსკვლავები —
ოქროს ლილები...
არ გამიწყრება
ღვთაებრივი ალბათ რუსთველი,
თუ მის თისათინს
სიყვარულში შევეცილები.

ამ მოლოდინში
გული ჩემი სიამით იშვებს,
მზით ნახანდრალი ეს საბამოც
მიდის ბინდებად...
და ვიცი, ერთ დღეს
არაპეთის მხურვალე მზის ქვეშ
სპასეტის გვერდით
ბენდირს რომ გამელვიძება.

მახსოვს, სკოლაში
რა მონდომებით
და გულდაგულ ვიზეპირებდი
მსოფლიოს
უმაღლეს მწვერვალთა
უცნაურ და
უცხო სახელებს...
გამოხდა ხანი
და
ცხოვრების დაუნდობლობა
და სამუდამოდ
მისახსოვრდებით მშვენიერ თვალებს.
აკრთაბლივ გუმბათს სანთლების ფერი,
იმ „თვალთა კვდომის“ მონმე შენა ხარ...
ლამით ჯვარს მისთვის ინერდა მერი,
რომ შენი ცრემლი არ დაენახა.

მანანა
ჩიტიშვილი

არც — ევერესტი,
არც — ჩიოგორი,
არც — კანჩენჩანგა,
არც — ანაპურნა,
არც — მანასლუ,
ანდა — მაკალუ....
ქვეყნად
ყველაზე მაღალი თურმე
ყოფილა
შეილის სამარის ბორცვი.

წვივებს მიიმტვრევს არაგვი,
მარტო შენ ხარ და მარტო მე,
მე ვერ გავპედე, თავადაც
დაუკოცხავი დამტოვე.

ვინ რას გაუგებს საწუთოს,
გულს სადარდელად ეყოფა,
რა ძალა ჩადგა ჩვენს შორის,
სურვილს რა გადაელობა.

მთარე გორებზე გადვიდა,
ქარიან ღამით ნაგეში,
ნეტავი, არც მე მეთხოვა,
ნეტავი, არც შენ გაგეშვი.

08 ლაგას

„შენ ჯვარს ინერდი იმ ღამეს, მერი...“
გალაკტიონი

ამ შემოდგომას დარდს რა დაულევს,
დრო ფოთლებივით ფანტავს იმედებს...
ბედნიერების დღესასწაულებს
პოეტისათვის ვინ გამეტებს.

მაგრამ ხან გვინდობს ჟამი უჟამო,
ზოგჯერ ჩვენთვისაც ყვავილობს მთვარე,
დაუყვედრებლად და სამუდამოდ
გამახსოვრდებით მშვენიერ თვალებს.

მახსოვს,
უმზერდი სანთლების ციმციმს
ცრემლით დაბინდულ თვალთა ჩეროდან
და სატროფს სხვისთვის ნათქვამი ფიცი
გემოდა, მაგრამ არა გჯეროდა.

აკრთაბლივ გუმბათს სანთლების ფერი,
იმ „თვალთა კვდომის“ მონმე შენა ხარ...
ლამით ჯვარს მისთვის ინერდა მერი,
რომ შენი ცრემლი არ დაენახა.

ბედს ვერასოდეს ვენიე,
მენდე,
ვერც ვოვლიდი წლების
ნახმლებ-ნატყვარს
და ყველა ჩემს ლექსს,
იმ დროდან დღემდე,
სისხლის და ცრემლის
კვალი ატყვია.

ვიცი, რომ ერთ დღეს
მაინც მიპოვნი,
ჩადგება დელგმაც,
ქართა როკვანიც
და ბინდუნდს გასხებს
ჩემი სტრიქონი,
დროს ხანჯალივით
რომ შემოვეკარი.

შიდევისის აგებოზი

„დიდხანს უმზერდა ხოლმე მუნჯი
თავის ანგელოზს... მოუღო თავის
გრძნობასა და გამოუთქმელ
განცვიფრებას აქსოვდა ფუნჯის მოსმაში“.
ლევან გოთუა „ყინწვისის ანგელოზი“

იდგა სიმშვიდე ღვთაებრივ ნათლის,
რბილად წვებოდა ბინდი გორებთან
და ისე ჩანდა, თითქოს ცა ქართლის
შენი კაბის ფერს იმეორებდა.

მჯერა, თვით თამარს უნდა ენახა
ეგ სახე ცისკრად შემოგარსული,
მართლა იყავი? წუთუ შენ ხარ
ფანასკერტელის ტურფა ასული.

გიხილა, მეტი არც რა ენება
მფლობელს სხვა განიძის, სხვა საუნჯეთა,
მუნჯი მხატვარი? შენი მშვენება
თვით მეტყველსაც ხომ დამუჯეებდა.

რამდენი ღამის თეთრად თევანი,
ჩუმი ცრემლებით სველი უბე და
ეგ უნაზესი ხელის მტევანი,
ფუნჯის ხლებაც რომ ძლიერ გაუბედა.

ამოდის მთვარე თემშის კიდედან,
ხეები რტყობს ქარში გაშლიან,
თითქოს მამულის სევდას იტევდა
ფრთებს მოვლებული შავი არშია.

დავდრეი, წარსული მივშალ-მოვშალე,
ცისკენ გაფრინდა ფიქრის იაბო,
იქნება სულაც ფრთათა სისვე
შორით ტრფიალის ზლაპარს გვიამბობს.

არ ვიცი... და არც კითხვა არ მინდა,
ზეცამ სურვილთა რიდე ამყარა,
თითქოს თაღებქვეშ გაიამინდა
და მხატვრის უკვდავ სულს მათაყვანა.

აქ თვალი სულ სხვა ცრემლმა დანამა,
გულიც სხვა ღელვით დამიქანცია,
შენ, მინიერი, მხატვრის ყალამმა
ცის ანგელოზად როგორ გაქცია.

ღამე ურნისის გორებზე მიწვა
და მთვარის შექი მთებზე დნებოდა,
რა ბედნიერი იყო ეს მინა,
ალათ შენს ტურფებს რომ ეხებოდა.

ყოფას მარადისს რომ გაზიარა,
გხატა სათუთად, ხელით ამოთი,
ძამას მთებიდან ნისლი კი არა,
ფანასკერტელთა სული ჩამოდის.

ვგრძნობ, ამ ტაძარსაც ვით გაუხარდი
ასე ნაზი და ასე საზეო,
მხატვარს ქალივით კი არ უყვარდი,
ის გსასომბდა, როგორც ანგელოზს.

შენს ხიბლს რა დრო და რა ჟამი წაშლის,
წელთა მსვლელობით არ იძინდები,
შენი სამოსი ცა არის ქართლის,
ქიტონი — ნაღვლის მწვანე მინდვრები.

ახლა არ ვიცი, რით დაგამშვენო,
რით დავიამო სულის ხანდარი,
შენი საფერი, ანდა საშენ
ჯერ ერთი ლექსიც ვერ მოვასნარი.

ხარ მარადისი საუფლო ნებით,
დამეს ვარსკვლავებს უნდა უთვლიდე,
ოლონდ ერთხელ არ გაშალო ფრთები
და ტაძარს ცაში არ გაუფრინდე.

ვერას შეგმატებს ჩემი შექება,
ცის ხარ და ცისფრად უნდა იალო,
უშენოდ ხიბლი აღარ ექნება
არც ყინწვისს და არც საციცანოს.

მოველ და გული უცცებ გამთელდა,
სულიც სიმშვიდის გახდა მთესავი,
მთლიან ქართველთა როგორც ანგელოზ
ხარ სალოცავი და საესავი.

არ მიკვირს, ასე რატომ გვიზიდავ,
ღვთივშემოსილო საუფლო ნათლით,
ჩვენ თვითონ ვნახეთ, თუ ყინწვისიდან
რა სხვა სიმაღლით მოჩანდა ქართლი.



ლიტერატურული გაზეთი

ერთ დროს

„საქართველოში უყვართ ლექსები,
ან შენ გიცნობენ, ან – მე...“
ნაზი კილასონია

ლექსი ნამდვილად უყვარდათ
ერთ დროს,
ვით სულთა თრთოლის მაცნე,
ჩევნ სულ სხვაგვარი
დროება გვერგო —
არც შენ გიცნობენ,
არც — მე.

შესძრავს ვინმექს გულს
ჩევნ ფიქრებიც,
ლექსთა შეკრებენ მარცვლებს...
ოღონდ ჩევნ უკვე
ალარ ვიქნებით,
ალარც შენა და
არც — მე.

სტუდენტობის მეგობარს, დავით თადორაძეს მისი რჩეულის წაკითხვის შემდეგ

თუ სიყვარულზე მოვიდა
ლექსი, ვაჟლერეთ ქნარი,
რას გეუბნება ცოლი და
ჩემი რას ფიქრობს ქმარი.

დაფრინავს ციცინათელა,
ნათობს კარიდან კარად,
იციან, ლექსის საწერად
ხან რომ ოცნებაც კმარა?

იციან ალბათ, ჩქარობენ,
ღიმით ხვდებიან სტუმარს,
ლექსზე თუმც ეჭვანობენ,
მაინც ამაყად სდუმან.

ბევრჯერ ამაოდ ვილოცეთ,
სიმი გამწყდარნიც უდერენ...
იმდენ სიყვარულს ვინ მოგვცემს,
ჩევნ რომ ლექსებში გწერეთ.

რაღა ცრუმლებმა გაგვრუნონ,
ვიდრე ჩევნი მზე ჩავა,
ვენრთ, ვიღაბაზებთ საწუთოოს,
ვითომ უუყვარდით მავანს.

ვიცხოვრეთ სხვაზე მეტობით,
ვეყიში კახეთს და მუცოს,
უფრო შორეულს ვეტრფოლით,
მიუწვდომელს და უცხოს.

თავს არც იოლად ვუყადრით
დრო-ჟამს, მივყებით კიბეს...
იქნება კიდეც ვუყვარდით,
იქნებ გვიყვარდა კიდეც.

წარსული ჯერაც აქვეა,
ლექსით ვაბრუნებთ ხურდას...
ანდა ვისი რა საქმეა,
ვინ გვიყვარდა და გვძულდა.

მზე აფრინდება გორიდან
გულით ვეიძერს ქნარი...
რას გეუბნება ცოლი და
ჩემი რას ფიქრობს ქმარი.

პირმანენტი

ახლა მზიანი დარების დროა,
რაც მე ცრიატი დელები ვეეცე...
ალბათ ნასტანის ამბავი მოაქვთ
ინდოეთიდან მოფრენილ მერცხლებს.

ვეუზებ სიმრვანეს, მთის ფერდზე აკრულს
და თვალზე ცრემლი მოდგება უცებ,
და ჩუმად ვუსმენ კოდალას კაკუნს,
პირმზითის ტყეს რომ გულივთ უცემს.

მოჩანს ქართლის მინდვრებზე
ოქროვანი ყანები,
დავიღალე საწუთოს
ამდენ ამოცანებით.

გზა-გზა წამომენევა
სადარდელი უცები,
ეს მისნობაც მომპეზრდა
გვირილების ფურცლებით.

მერე მოვა სიკვდილი
ღამეული სამოსით
და ერთიან სუყველა
ამოცანას ამოხსნის.

დგას ოქტომბერი

ნეკერჩელის ტოტი ოქტომბერი ბრნებინავს,
თვლემს ხავთანი, ბებერი ფესვი...
პოეტო, აბა შეგნატრებს ვინ არ,
როცა ქალივით გმორჩილებს ლექსი.

თუმცა შენს კალამს,
ვით „მინას რხეულს“,
ბევრჯერ დაათოვს თოვლი ფანტელებს
და მაინც სტრიქონს, ვით სატროფოს სხეულს,
ეფერები და აურუანტელებ.

ხანდახან გულის იმსხვრევა კარი,
ცა შავი ღრუბლით დაირისხება,
ლექსში ხომ ზოგჯერ მთავარი არის,
რაც არ ჩანს, მაგრამ იგულისხმება.
დგას ოქტომბერი
ცა არის მშვიდი,
მზეც — ამო, განა დამსხმელი რეტის...
და ტყისპირს ლუის ნაყოფი შინდის,
როგორც ქალწულის
მთრთოლვარე კერტი.

გაღმიღან გეტყვით

რაც კი მოვშორდი ღვთაებრივ ედემს,
რაც ვეზიარე კეთილს და ბოროტს,
ვერაფრით ვეცდები იმ დროდან დღემდე,
როგორ, ან ვისი წესებით ვცხოვრობ.

ბევრი ვძებნე და ვერარა ვპოვე,
მეტურა ცა და კლდის მწირი ეხი...
მე ხომ მინაზე იმიტომ მოველ,
რომ ვარსკვლავებზე დამიცდა ფეხი.

არც რა მქონია ვინმეზე მეტი,
რამდენი ხატვირის დამრჩა სიშორე...
ალბათ მარტოდენ გაღმიდან გეტყვით,
გამოღმა რად და
როგორ ვიცხოვრე.

გთხოვ, მაჟათიო

ნალექავს მინდვრებს თქორი ენძელის
და შენც მოდიხარ, როგორც სინათლე,
გთხოვ, მაპატიო, თუ ვერ შევძელი
და იმედები ვერ გაგიმართლე.

გადმოდგა ღამე მთვარის დაირით
და ვარსკვლავებიც მოვლენ ადრიან...
მე სიყვარული სხვებინარი
არც არასოდეს არ მინატრია.

არც როდის ბევრის ვყოფილვარ მდომი,
შენთანაც კრძალვით მოველ ასევე...
და ვიცი, მომგებს დიდგორის ომის,
რომ ეგ თვალები დამამარცხებენ.

შრომის ზარები

მინდვრად შროშნების ზარები რეკენ
მზის ამოსვლიდან მთვარის მიხრამდი...
მე სუყველა გზას მოვყავდი შენკენ,
შენ სუყველა გზას ჩემგან მიჰყავდი.

რა შორი ელვა კრთოდა მნათობთა,
ის ხილვა დღემდე ვერ მოვიცილე,
შეც ჩემი ჩუმი ცრემლი გათბობდა,
მე შენი მზერის მწვავდა სიცივე.

მერე კი ჩავყევ საწუთოს მორევს,
ბევრჯერ შემწვანდა მინა ტბორებთან,
ბრალი შენი, რომ დამკარგე, თორებ
მე დიდხანს მარტო ვინ დამტოვებდა.

გადახსნილია მთვარის საკინძე,
მეც ახლა უკვე მწვერის ბინდა ვარ
და მაინც ჩემი ცივი ზამთრის სკენ
აპრილის ჭრელი კაბით მივდივარ.

საგაზაფხულო

სიზმრად ვნახე დიონისე
გადამთვრალი სატირებით,
არაგვი, მარტის ლანქერიანს,
თან მოპქონდა ნაპირები,
მე სხვის კარზე რა მინდოდა,
შენთან მოსვლას ვაპირებდი.

მაგრამ უცებ წამოთოოვა,
არ დამინდო კვალად ზენამ,
არ შემარგო გაზაფხული,

არც ყვავილთა ზედა ფრფენა,
თოვლის თეთრმა სიქაოქაოები
შენი ყელი გამახსენა.

აქანებდა ღრუბლის აკვაის
მთვარე — ვარსკვლვების ძია,
ხან თუ ზეცა მწერდა პირჯვარს,
ზოგჯერ მიგალიბდა მიხა,
ჩემს სიზმარში ჩაძინებულს
შენს სიზმარში გამეღვიძეს.

არ მოიხატო

მესისხლესავით შემოდის ღამე,
ამ ციც კედლებთან მარტო ხარ ოდეს,
არ მოინატრო ისეთი რამე,
სანატრებელი არლარა გქონდეს.

შენ გაზაფხულის დაიკრავ იერს,
დროა, რომ გულმა ცეცხლად იალოს...
არ შეიყვარო იმდენად ძლიერ,
რომ მერე ვერვის ვერ ეტრფიალო.

ცაზე ნამლევი აგდია მთვარის,
რა ხნიდან თვალზე ცრემლი მომიშრა...
გემუდარები, გამიღე კარი,
სიზმრებში მაინც რომ შემომიშვა.

სავადრებელი

რა უცხო ფერი ადგია შორეთს,
სევდას ზედ გულზე უდევს ტორები...
მე ალბათ უკვე ველარ ვიცხოვრებ
ნესტანის ანდა ვისის ცხოვრებით.

ქარი ხის ტოტებს ერთმანეთს ახლის,
მე სულ ეს ქარი რად შებედება....
ისე ვარ ახლა, ვით ძველი სახლი
და სიმატოლვის ხავსი მედება.

მორჩა, ყოველი დასრულდა უცებ,
დანებდა სული ზამთრის ამინდებს,
დღეს დალლილ მზერას და ფერმკრთალ ტუჩებს
ერთ დროს საყვარელ სარეს ვარიდებ.

მაგრამ რა ვუყო აპრილის სიცილს,
ამ გულს სიმშვიდედ რა ავუცარო,
შეუძლებელი რომ არის, ვიცი
და მაინც თრთოლვით შეგთხოვ, უფალო.

არ ვრივი, თუ რამ დარდი მინახავს,
თუ ნანატრ იღბალ ვერ მივაგენი,
ოღონდ ნასვლამდე
სიტყვამ — „მიყვარხა!“

ერთხელ ამონგას კიდევ ბაგენი.

თოვლია ახლა

თოვლია ახლა...
ალბათ საბადურს ათოვს,
ცა მოღუშულა
გაუგებარი რისხევით,
მე რანაირად,
ან როგორ უნდა დაგთმო,
თუ უნდა დაგთმო,
ის მაინც მითხარ, ვისთვის.

და თეთრ პერანგებს
ხებს ზამთარი აცმევს,
ტოტზე გაპეიდებს
ნისლის ქათქათა აფრებს,
არ გვდომებია,
თუ უცა არც შენ და არც მე,
იქნება სულაც
გულწითელებმა გაგვთქვეს.

ახლა საბადურს
მკრთალი ბინდბუნდი თალხავს,
არაგვის მხრიდან
შენ შეუმჩნევლად და
სულ უნაღვლოდ ნახვალ
და არც კა მეტყვი,
რატომ, საითკენ, რისთვის.

ქანაობს ქარში
ალვის ხების რიგი,
როგორ არ დამცდეს
ამ წუთისოფლის ძვირი,
უკვე იმდენი სატირალია ირგვლივ,
დიდი ხ

କ୍ରମିକ

კატო ჯავახიშვილი

პოეტი კატო ჯავახიშვილი სწავლობდა სამეცნიერო უნივერსიტეტში, შემდეგ იურიდიული, საზოგადოებრივი მენეჯმენტისა და ხელოვნებათმოცოდნების ფაკულტეტები დაამთავრა. ხუთი პოეტური კრებულისა და პუბლიცისტურ ნარკვევების ავტორი მრავალი ლიტერატურული კონკურსის პრიზიორი და ნომინანტია. ასევე არის ბრიტანეთის საერთაშორისო Poetry Slam-ის ლაურეატი მისი მოთხოვნის მიხედვით დადგმული რადიოპიგენა „ცხვარი“ ფესტივალ „ევროპი“ პრიზის „ფინალისტი გახდა. ლექსები თარგმნილი ინგლისურ, გერმანულ, სლოვაკურ, უკრაїნულ, ლიტვურ, ჩეხურ, შვედურ, პოლონურ და რუსულ ენებზე. მას სხვადასხვა ანთოლოგიასა და ალმანახშიც შეხვდებით.

— „ოპ, როგორ არ მიყვარს ეს მშრალი ბიოგრაფიული ცნობები, თავის თავში ცხოვრებას რომ ვერაფრით იტევს“ — თქვენი სიტყვებია. როგორ ფიქრობთ, რაშ შეიძლება დაიტიოს ცხოვრება? ყველაზე მეტად რაში ჩანს ის მთელი სისავსით?

— ცხოვრება ეტევა ამინდებში და უა
მინდობაში, შავ თმაში უსერხულად
გამოწილ ჭალარაში, შემოდგომაში, როცა
ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ და საკ-
უთარ თავებს ვყვებით, ზამთრისთვის გადა-
ნახულ მწინობში, გაზისა და შუქის ქვითრებ-
ში, ყველა იმ სიყვარულსა თუ არსიყვარულ-
ში, რომელიც ბიოგრაფიული ცნობების
მიღწა იმალება და რომელსაც ვცხოვრობთ
ჩვენ, ვისაც გვჯერა, რომ დიახ, ეს ზუსტად
ის ცხოვრებაა, რომელიც მოგვეცა და ისც,
რამდენის ზიღვაც შეექცლით, მაგრამ ის
ნამდვილად არა, რომელიც ჩვენს
ბიოგრაფიებში წერია. სევდიანი ამბავია ეს,
ცხოვრებისა და მისი დატევის ამბავი. ხან-
დახან კიდევ ისე ხდება, რომ ცხოვრება
არაფერშიც ალარ ეტევა, დროუიანი ცომივ-
ით გადმოდის, დავნიროვებული კაბასავით
კიდია კარაბაში, რომელსაც მხოლოდ იმი-
ტომ არ იმტებდ გასაჩიუქრბლად, რომ ბრიყ-
ვულად გჯერა, ერთხელაც, დადგება დრო,
როცა შენ ისევ მოერგვი მას და მერე რა,
რომ ამდენი დებისგან პეპლებს სანახევროდ
ამოუჭამით ის ქსოვილი, შენ რომ ასე
გიხდებოდა. მთავარია, ის არის, კიდია და
გელოდება.

— მგონია, რომ ადამიანის ცხოვრება
ისეთ დეტალებშიც იკითხება, როგორიცაა
„არეული ჩანთა და გაჩერჩილი თმა“.
დან-
არჩენი გააგრძელეთ, დეტალები თქვენ
უკეთიცით.

— საერთოდ, მგონია, რომ ვიზუალი,
რომელშიც თვალისა და ცხვირის ფორმის
გარდა ადამიანის გემოვნებასაც ვგულისხ-
მობ, რადგან გემოვნება ქრისტიანის ადამიანის
გამომეტყველებასა და დამოკიდებულებას
სამყაროსადმი და მის საყვარელ ნივთებ-
საც. ჰოდა, ეს ვიზუალი ძალიან მარტივად
და უტყუარად ყვება ადამიანს. უბრალოდ,
ამ ამბების მოსმენა და ნიშნების საყ-
ოველთაო ქაოსიდან გამოცალკევება
უნდა ისწავლო. ჰო, მაქვს გაჩერილი თმა,
მაქვს არუელი ჩანთაც და სასურველი ნივ-
თის მოსაძებნად მისი ამოკირავება მინევს
ხოლმე; დიახაც, მიყვარს ფერადი კაშნეე-
ბი და ბათინები, უუსმენ ჯოლოინს და ემსს;
ჰო, მიყვარს ნამდვილი კინო, როგორსაც
ტარკოვსკი იღებდა; ვთვლი, რომ არსებობს
ხელოვნება მასებისთვის და არსებობს
კიდევ შემოქმედება ერთი ადამიანისთვის
და მე მნიდა, ზუსტად იმ ერთი ადამიან-
ისთვის ვწერო. მაგრამ ხდება ისეც, რომ
ადამიანი და მისი ვიზუალი ერთმანეთს
ასცდება ხოლმე, სხვას ყვირის გემოვნება
და სულ სხვას ლაპარაკობს თავად, და აი,
ამ დროს, იცით, რას ვგრძნობ? საზიზდარ
მოწყენას. ადამიანი უნდა ჰეგავდეს საკუ-
თარ თაეს.

— სადღაც ამოვიკითხე, ნერდით, თქვენს პროფესიებზე, იმაზე, თუ სად გი-
მუშავიათ, ბოლოს ამბობდით: „ნამდვილი
აჯაფსანდალი, ეს ალბათ იმიტომ, რომ
მუდმივად ვეძებ, ვეძებ სიახლეებს, ადამი-

რომ ვიწყებთ, არა? მაგრამ ეს კრებული
მთელი გალერეა, თანამედროვე პოეტე-
ბის პორტრეტებით, ძალიან საინტერესო
ინტერვიუებით მდიდარი. და თქვენი პორ-
ტრეტიც იხატება მათთან საუბრებში.
თქვენთვის რა არის ეს წიგნიდა მისი „პერ-
სონაჟები“?

— ზევით როდ ვახსენებ შძრალი
ბიოგრაფიული ცნობები, აი, იმ ცნობებს
შორის ადამიანის ცხოვრება მიღიას: ინტერ-
ესები, დამოკიდებულებები, ყოფითი ამბე-
ბი. მაინტერესებს, როთ სუნთქავს ის ადამი-
ანი, რა მისწოდებს, რას მალავს, რა აზრი აქვს
ამა თუ იმ საკითხებზე, რას იტყუება, რას
აღიარებს. მარკ ტევნეს აქვს გენიალური
გამონათევამი: „ერიდეთ წიგნებს, ისინი ამ-
ბის ნახევარს ყვებიან!“ ჰოდა, ზუსტად ამ-
ბის იმ მეორე ნახევრის მოყოლა ვცადე,
რომელსაც ვერ ან არ ვამბობთ ხოლმე. ამ
წიგნში რესპონდენტების ამბების გარდა
ხომ ჩემი ამბებიცა. ზუსტად მიხვდებით,
იმ დღეს, იმ კონკრეტულ დროს როგორ ხა-
სიათზე ვიყავით, რა გვანუხებდა. იმასაც
მიხვდებით, ვინ მეტად გაიხსნა, ვინ სიტყვა
შეიკავა, როდის მიტირს საუბარი და რო-
დის ვარ უფრო ლალი. მოკლედ, ეს წიგნი
განწყობისაა.

სწორად, რელიგიური ციკლი, რომლის დაწერის პროცესიც ძალიან მტკიცნეულად მახსენდება. ისე, რაც შექება სასონარვეთას და ტკივილს, მე მაინც მგონია, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ასეთებად იბადებიან — ტკივილის განცდას ვეულისხმობ. ტკივილით დაბადებულ ადამიანებს არ შეხვედრიხართ? მე შემიძლია მუსიკაში, მხატვრობაში, კინოში მიგანიშნოთ მათზე, რომ უყურებ და გტკივა, რომ გესმის და გტკივა. აი, ასეთებზე ვსაუბრობ. რომ კითხულობ და გული გისკდება. სახელებს არ ჩამოვთვლი; მინდა, თავად მოძებნოთ ასეთები. აუცილებლად იპოვით, აუცილებლად შეამჩნევთ, სხვანაირად არ შეიძლება. ალბათ სწორედ ამის პასუხია ის შეფასება, რომელიც ჩემმა უფროსმა მეგობარმა და ძალიან კარგმა პოეტმა გივი ალხაზიშვილმა იმ ტკესტებზე გააკეთა.

— თქვენს ერთ-ერთ წიგნს — „ჭუპრი“
— ნინ უძლევის ლია სტურუას წინათქმა,
სადაც ქალბატონი ლია წერს: „ის ხე-
ლოვნების საყრდენს, ხელობასაც კარგად
ფლობს“, თუ ეთანხმებით მას და რას ნი-
შავს ფორმის ფლობა პოეზიაში?

— სულ პატარა გოგო ვიყავი, როცა
ერთ-ერთ ჩემს სალამოზე მოვიდა ქალბა-
ტონი ლია და ჩემს ლექსებზე ისაუბრა. ხომ
არსებობდენ ადამიანები, რომლებიც მოდი-
ან და რჩებიან. ზუსტად ასე დარჩა და მას
შემდეგ ვმეგობრობთ და ყოველი მისი ნახ-
ვა დღესასწაულია ჩემთვის. ფორმის კუთხ-
ით კი, მგონია, რომ პოეზია რაღაცნაირი
ერთობლიობაა ფორმისა და სათქმელის;
ერთი მთლიანობა, კედელს აძენებ — ან-
გრევ, აშენებ — ანგრევ, მაგრამ ყველაზე
მთავარია, შენება იცოდე, სხვანაირად ხომ
ვერაფრით დაანგრევ. ასეთია ლია სტურუა
და ამას ნიშნავს ფორმის ფლობა ჩემი
აზრით.

— „ნაცვალი სახელი“ — ეს პოემა
რაღაც ექსპერიმენტივით იყო, ხომ?
თამამი სვლა თუ ცდა, რომელიც გამო-
გივიდათ. თქვენ თვითონ ძლიერი ქალი
ხართ? როგორ ფიქრობთ, დაგიტრიალები-
ათ დედამიწა გლობუსივით?


— ექსპერიმენტით დაიწყო და პოემად
დამთავრდა. თან ფრაგმენტული სახე აქვს
და თან ერთი მთლიანის შემადგენელია ყვე-
ლაფერი. ჩემთვის საინტერესო ის იყო, რომ
ამ ფრაგმენტებს დამოუკიდებლად შეე-
ძლოთ არსებობა. ახლა დედამიწის დატრი-
ალებისას და სიძლიერისას გეტყვით, უფრო
სწორად, გვითხვავთ: თუ იმდენად სუსტი
ვარ, რომ იძულებული ვხდები, ძლიერი
ვოყო. რომელიც ამოვთვალს? თუ სისუსტი

— ალბათ იმიტომ მოქმედებს, რომ სი-
მართლეა. პრინციპში, სიმართლეც პირო-
ბითი რამაა, მაგრამ თუ რამდენიმე ადამი-
ანის „სიმართლები“ დაემთხვა, ნიშნავს,
რომ მე მათთვის „პირობითი სიმართლე“
მითქვამს, რომელიც ვინ იცის, ერთხელაც
უპირობო ჭეშმარიტებად იქცევა. აქცოტას
ეხუმრობ, ისე კი, ეს „იავნანა“ სულაც არაა
საშიში, და თუ ეს წიგნი ადამიანებზე მო-
ქმედებს, ძალიანაც მიხარია.

ალბათ გახსოვთ 90-იასები და ლუქება-პურის საშოვნელად ქვეყნიდან წასული



”
ବୋଲିଏବା
କା,
ବାତିଳ...
“



გასესოვთ ვინჯდეტ ღულისის „ტომას სტერნზ ელიოტი?“
იმ პორტრეტის ვეულისხმობ, ლონდონის სამეფო აკა-
დემიაზ 1938 წელს მხატვარს გამოფენაზე წარდგენა რომ
აურძალა, მერქ კი სამხრეთ აფრიკის გალერეას სულ
რაღაც 250 ევროდ მიჰყიდა. აქაოდა, უკანა ფონი ზედ-
მეტად გარყვნილი და უტიფარიაო... ელიოტის „ბერნი
მინა“ როგორ არ გაგვიგია, თქვენი ვორტიციზმიც გვეს-
მის, ბატონო, მაგრამ სიბერნის მხატვრობაში ამგვარად
ტრანსფორმაცია ყოვლად დაუშვებელიაო... ჰოდა, დაი-
წუნეს და დაგმეს, გაკიცხეს და გაკილეს... პორტრეტი კი
ინგლისურ საზოგადოებას „ბერნი მინის“ გამოქვეყნე-
ბიდან მხოლოდ 80 წლისთავის იუბილეზე აჩვენეს. რას
ვიზამთ, ახალგამოჩეკილ მეოცე საუკუნეს ჰქონდა თავი-
სი ლირებულებები...

უნაყოფობის ჩაუჭერებულ ურცხვდა უტიფარ ფონზე
რა მოგახსენოთ, მაგრამ ელიოტის უზარმაზარი ფიგურა
რომ თავსატეხს გაგიჩენთ, გასაკვირი როდია. ზის თავის
სავარქელში, წარბმეკრული, დაუსაზღვრავი, ნაჩრდილ-
ევი თვალის უპეებითა და ჯოკონდას ამოუხსნელი ღი-
მილით. სავარქლის ზურგს მიყრდნობილს იდაყვები მის
მელავებზე დაუყრდნია და დანაფიქრი მზერა სადღაც
მარცხენა სიცრცეში ჩაუკარგავს. მთელი მისი პოზა
წევდომლიბისა და მედიდურობის ანასხლეტია. ფიქრი
ფიქრობს მის სახეზე. შენც იკვლევ, სინჯავ, ექტ, ჩხრეკ,
ქექავ ამგვარ ელიოტს და პორტრეტის პირისპირ მდგარს
საიდანლაც რუსთველისეული შაირი დამცინავად შემოგ-
ძახებს: „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმ-
ერთი ღმერთად“.

კრიალოსანივით ვმარცვლავ შოთას სტრიქონს, ჩახ-ლართული ასოციაციებიდან რომ მორკავრაცებს... აბა, მიღი და ეცადე დასაზღვრას, განსაზღვრას, შემო-საზღვრას. არაფერი გამოვა... ელიოტი ელიოტია, ან-გლორიერიკული პოეზიისა და კრიტიკის ტახტზე მედი-დურად მოკალათებული პოეტი. ხელში ჯადოსნური ჯოხი უჭირავს, დროდადრო ჰაერში აიქნევს და თავის თანამედ-როვე თუ წინამორბედ პოეტებსა და კრიტიკოსებს, მათი ცოდვების მიხედვით, სამოთხესა და ჯოჯონებთში ანაწ-ილებს. აპა, ბატონო, ესეც თქვენი მოდერნისტი დანტე...

„უსიერ ტყეში, ამ ცხოვრების ნახევარგზაზე“ — ასე იწყებდა დანტე თავის ღვთაებრივ კომედიას. ელიოტი ცხოვრების ნახევარგზაზე არ ყოფილა, როცა „საღვთო ტყე“ დანერა (1921 წელს გამოქვეყნებული ესეების კრებული პოეზიასა და კრიტიკაზე)... ისევ ვდეტჭავ ფიქრებს ელიოტზე და ტყეზე, გვერდით ამოყენებულ თავის განმსაზღვრელ სიტყვას ყავარჯენივით რომ დაყრდნობია. ტყე საღვთოა და არა უსიერი. მერე რა, რომ ელიოტისთვის დანტესთან იწყება პოეზია და პოეზიაში ჩანსნული ფილოსოფიაც, სათაურისთვის ამჯერად მისთვის არ მიუმართავს, ვერგილიუსს ესესა.

გახსოვთ ვერგიულიესის „ენეიდა“ და მისი ენეასი? ტროადან წამოსული გმირი იტალიამდე უამრავ ფათერ-აკს, განაცდელს რომ გაიღლის და ოდისევის მსგავსად მიწისქეშა სამყაროში გადაწყვეტს ჩასვლას. ენეასი საღვთო ტყეს გადის და ტყის გავლით აღწევს მისთვის შეუცნობელ სამყაროს. გმირი იყო, მაგრამ არც მისთვის იქნებოდა მარტივი ტყეში ჩაკარგვა. არც ელიოტის მკითხველისთვისაა მარტივი „საღვთო ტყის“ გავლა. ფეხებს გადაგაყვლეფინებს ეკლიან ბილიკზე, ფროსტის ლირიკული გმირივით აგირევს თავგზას, ბზესავით გაფანტული ფიქრების მოკრებას დაგაწყებინებს, ნრიულად გატარებს ლაბირინთადეცეულ წინადადებებს შორის, მაგრამ მაინც გასწავლის ლექსის კითხვასა და კრიტიკის წარმოებას.



ქეთევან გახოკია

ഒളിപ്പിൽ അനുത്തരാത്മ

კრიტიკოსია”. კრიტიკის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მხოლოდ არისტოტელე სცნონ და აღიარა. აღიარ უნივერსალური ცოდნისა და ინტელექტის კაცი, რომელ მაც უარი თქვა პირად შთაბეჭდილებასა და მგრძნობის არე აზრებზე (რაც ასე სტულ ელიოტს), ნაწარმოების შინაარსსა თუ მოქმედი გმირების განცდებზე, ავტორთ ბიოგრაფიასა თუ მათთან სულიერ ნათესაობაზე. „არის ტოტელე — წერს ელიოტი — უნივერსალურად განათლებული კაცი გახლდათ. უნივერსალური განათლება კი ნიშავს, რომ მას შეეძლო, ფართოდ გამოყენებინა ეს ცოდნა... მისი გამორჩეული და მახვილი მზერა ნებისმიერ სფეროში ყოველთვის მარტოოდენ ობიექტისკენ იყო მიმართული”.

უშდა ხერო. სუინბერნი მოსწონს, მაგრამ მოსწონს როგორც პოეტი და არა კრიტიკოსი. დიდი კრიტიკოსის სტატუსს ვერ გამოსწირავთ, ამბობს. მართალია, საფუძვლიანად ინტერესდება თავისი თემით და თანამედროვეებისგან განსხვავებით, საგნიდან რაღაცის ამოგლეჯვას არ ცდილობს მაგრამ სუინბერნი უფრო მეტად შემთასებელია და არ კრიტიკოსიო. ღმერთმა არ დაამადლა სალი აზრი და გამორჩეული გემოვნება, მაგრამ მსჯელობას იმ ადგილას წყვეტის, სადაც აკელაზე საინტერესო უნდა დაიწყოონ.

მიზნამდე ბოლომდე არ მიდის, გზა ერევა და ბილიკი ვერ
გაურჩევაო. შექსპირის პერიოდის დრამატურგებს იყვა-
ლევს, მათი თეთრი ლექსის განვითარება და ტექნიკური
პრობლემები კი არ აინტერესებსო. მოკლედ, სუნდერნ,
ძმაო, სრულყოფილებამდე ბევრი გიკლია, კრიტიკა შენი
საქმე არაა, ისევ პოზიციას მიხედვო... ეპ., ელიოტ, შენ რომ
გისმინოს კაცმა, კალამი ვეღლამ ფარ-ხმალივით უნდა
დაყრინოს და მხოლოდ შენი კრიტიკა და პოზიცია იკითხოს.

სუნდერნის შემთხვევაში არა აურჩა ინტერესი თავაქმაობას.

სუიბერნის ძეგლებ არც ჯორჯ ვიხდებას დააბადლა კრიტიკის მათრახით გვერდების აქრელება. ვიტემორიან-ული ეპოქის რომანტიკული არისტოკრატი და კონსერვატორი გახლდათ ვინდჰემი. იჯდა თავის მამულში, ჭერებით მიჰყვებოდა ცხენებს, აღმერთებდა ხმელეთის ოცდაოთხ პროცენტზე აფრიკალებულ იუნიონ ჯერა და ინგლისურ იმპერიალიზმს. კრიტიკასაც წერდა პლუტარქეს ნორთი-სეულ თარგმანზე, შევსპირის პიესებზე, უოლტერ სკოტსა თუ რომანტიკულ პოეზიაზე. არადა, როგორ სცულდა ელიოტს რომანტიზმი და მისი წრეგადასული მგრძნობიარობა. რომანტიზმი მოკლე ბილიკა არარეალური უცნაურობის კენონ, ხაზგასმით აღნიშნავდა. ამიტომაც ინუნებდა ვინდჰემსა და მის წინასწორობადაკარგულ რომანტიკულ კრიტიკას, საპოლოოდ კრიტიკული ანალიზის ნაკლებობამდე რომ მიდიონდა. აბა, რა საჭიროა გადამეტებული შეფასება, რიტორიკა და ისეთი წინადადებები, პრძოლის, ველური ყიშინისა და დაფადაფების ცემის ხმა რომ მოაქვს. კი, ბატონი, ილაპარაკე რომანტიზმზე ცხოვრებაში, მაგრამ გახსნდეს, რომ მისი ადგილი მწერლობაში არაა. ასე დაემშვერდობ ვინდჰემს და მესამე არასრულყოფილ კრიტიკოსს, ჩარლზ ვიბლს გადასწვდა.

„ადგილობრივი გემოვნების“ ქვესათაურით დაიწყო
მასზე ნერა და კალამი ბოლომდე აღესა. არადა, ვიბლი ის
ლიტერატური იყო, ელიოტს Faber & Faber-ის რედაქტორად
რომ გაუწია ოკუმენდაცია. აბა, რაში სჭირდებოდა
სხვისი რეკუმენდაცია, მაგრამ გუვლის საძიებო სისტემა
ზოგჯერ საოცრად გულუბრყვილოა. ჰოდა, ელიოტმაც
მადლობა იმით გადაუხადა, რომ ესე მიუძღვნა, მაგრამ
ვაი ასეთ მიძღვნას. ვიბლი დასაფასებელია, ბევრი რამრომ
ნაუკითხებას ინგლისურ ლიტერატურაში, მაგრამ ერთი
ორიგინალური აზრიც კი არ გამოიუთქვამსო, წერს. ნაკ-
ლოვანებები მის ინტელექტსა და გრძნობებშია,
გამოცალევების უნარი რომ არ გააჩნიათ; იმ ლიტერ-
ატურაში, რომლითაც აღფრთოვანებულია, ძალიან ბევ-
რია ცოდვა და ნაკლოვანება, რომლის დანახვაც არ შეუ-
ძლიათ; კრიტიკის მთავარ იარაღებს, შედარებას და ანალ-
იზს, არსად იყენებსო. მოკლედ, ვიბლ, საჭირო კაცი ხარ,
მაგრამ მხოლოდ ცოცხალი კრიტიკისგან მიტოვებულ
ქვეყანაში. ის კატე ხარ, უძალლო ქვეყანაში რომ გაყეფე-
ბენო. ასე რომ, პირდაპირობა ელიოტის სუსტი მხარე ნამ-
დვილად არ უნდა იყოს.

ინგლისელებს რომ გადაუარა, ამერიკულ და ფრანგულ ინტელექტუალთა ზევსივით სტყორცნა მეხი. ის პერიოდი იყო, ლიტერატურულ კრიტიკაში ნიუ ჰუმანიზმი ახალ კრიტიკულ მიღდომად რომ ყალიბდებოდა. ამერიკელი პოლ ელმერ მორი და ირვინგ ბებიტიცი ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები იყვნენ. ნანარმოებებში ადამიანები აინტერესებდათ და მათ მორალურ მხარეს უკირკატებდნენ. ელიოტი აქეთ ახალ კრიტიკას აყალიბებდა და მუდამ იმის მცდელობაში იყო, შენაარსის, მორალს, მწერლის ბიოგრაფიისა და პერსონაჟების ნაცვლად, ყურადღება თავად ტექსტზე, ობიექტსა და მის ტექნიკაზე გადაეტანა. ჰოდა, როგორ შეიძლებოდა, ნიუ ჰუმანისტები არ გაეკენლა და ლიტერატურაზე მათი წარმოდგენები მასხრად არ აეგდო. ლიტერატურა და კრიტიკა ზოგადსაკაცობრიო, ცხოვრებისეული პრობლემების მოვგარების ადგილი არაა, პირდაპირ აღნიშვნა შეიძლება ამერიკელ კრიტიკებზე, თქვენ არა ხართ თაობის კრიტიკული სინდის, ამიტომ მორალის ნაცვლად ისევ ლიტერატურაზე წერეთ.

မိုစ္စော ဖျူလှိုင် ဗျိုလာတဲ့ အသိမှတ် နှစ်ရက် အတွက် မြန်မာ ပြည်တော် အမြန် ဖြစ်တယ်။

